



## ეკონომიკა

**ტურიზმი:** 2021 წლის ოქტომბერში, ტურისტების რიცხვმა 2019 წლის ოქტომბრის დონის 43.0% შეადგინა, რაც გაუმჯობესებული მაჩვენებელია 2021 წლის მესამე კვარტლის აღდგენის დინამიკასთან შედარებით (აღნიშნულ პერიოდში საშუალოდ 36.4%-იან აღდგენას ჰქონდა ადგილი 2019 წლის დონესთან შედარებით). აღსანიშნავია, რომ წინა თვეების მსგავსად, 2021 წლის ოქტომბერში ერთდღიანი ვიზიტორები დაბალი ტემპებით აღდგა და მთლიანი საერთაშორისო ვიზიტორების 7.5% შეადგინა (ამ ტიპის ვიზიტორები მთლიანი ვიზიტორების საშუალოდ 30%-ს შეადგენდა 2019 წელს). ამრიგად, 2021 წლის ოქტომბერში 205.7 ათასი საერთაშორისო ვიზიტორი (+313.7% წ/წ, ჯამურად ტურისტული და ერთდღიანი ვიზიტები) მოგზაურობდა საქართველოში. ამასთან, ყველაზე მეტი ვიზიტორი შემოვიდა თურქეთიდან (17.4% წილი ჯამურ ვიზიტებში), რასაც მოჰყვება რუსეთი (14.2% წილი) და სომხეთი (9.4% წილი). ამასთან, ვიზიტორთა უმრავლესობა საქართველოში შემოვიდა საავტომობილო ტრანსპორტით (53.7% წილი), რასაც მოჰყვა საჰაერო გზით შემოსვლა (45.5% წილი). ჯამურად 2021 წლის იანვარ-ოქტომბერში, საქართველოს 1.4 მილიონი საერთაშორისო ვიზიტორი ეწვია (-1.8% წ/წ, 2019 წლის დონის 21.0%) და ტურიზმის შემოსავლებმა 1.0 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა ჩვენი შეფასებით (+96.7% წ/წ, 2019 წლის დონის 35.5%).

**ბიუჯეტი:** მთავრობამ პარლამენტს წარუდგინა 2022 წლის ბიუჯეტის მეორე ვერსია, რომელიც მოიცავს 2021 წლის განახლებულ მაკროპარამეტრებსაც. 2022 წლის ბიუჯეტის ჩარჩო ემყარება მშპ-ის 6.0%-იან ზრდას და 4.5%-იან დეფლატორს. ამასთან, მთავრობამ მეორე ვერსიაში 2021 წლის მშპ-ს ზრდის პროგნოზი 10.0%-მდე გაზარდა პირველი ვერსიაში არსებული 9.5%-დან. 2022 წლისთვის, ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების წლიური 19.3%-იანი ზრდა არის დაგეგმილი, რაც მაკროპარამეტრებთან ერთად ასახავს COVID-თან დაკავშირებული საგადასახადო შეღავათების დასრულებას. მიმდინარე ხარჯები მშპ-ის 22.6%-მდე მცირდება კოვიდთან დაკავშირებული ხარჯების შემცირების გამო (თუმცა, მიმდინარე ხარჯების აღნიშნული მაჩვენებელი გაზრდილია ბიუჯეტის პირველ ვერსიაში არსებულ დონესთან შედარებით, რაც ძირითადად 2022 წლისთვის შრომის ანაზღაურების 236 მლნ ლარით ზრდით არის გამოწვეული), ხოლო კაპიტალური ხარჯები კვლავ მაღალ დონეზეა დაგეგმილი და მშპ-ის 8.6%-ს შეადგენს 2022 წლისთვის. ფისკალური დეფიციტი 2022 წელს მშპ-ს 4.4%-ზეა დაგეგმილი და 2023 წლიდან მოსალოდნელია მისი პანდემიამდელ დონესთან დაბრუნება. ამასთან, სახელმწიფო ვალი 2022 წლისთვის მშპ-ს 52.2%-ზეა დაგეგმილი, რაც მცირედით შემცირდება 2021 წლის მაჩვენებლიდან.


### ეკონომიკური ინდიკატორები

|                                 | 2019       | 2020   |
|---------------------------------|------------|--------|
| რეალური მშპ-ს ზრდა              | 5.0%       | -6.2%  |
| მშპ ერთ სულზე (ppp)             | 15,613     | 14,918 |
| მშპ ერთ სულზე (აშშ \$)          | 4,696      | 4,275  |
| მოსახლეობა (მლნ)                | 3.7        | 3.7    |
| ინფლაცია, პერიოდის ბოლო         | 7.0%       | 2.4%   |
| საერთ. რეზერვები (მლრდ აშშ \$)  | 3.5        | 3.9    |
| მიმდ. ანგარ. დეფიციტი (მშპ-ს %) | 5.5%       | 12.4%  |
| ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)    | 2.1%       | 9.3%   |
| სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)       | 40.4%      | 60.0%  |
| Fitch/S&P/Moody's*              | BB/BB/Baa2 |        |

წყარო: ოფიციალური მონაცემები, სარეიტინგო სააგენტოები

\*უახლესი საკრედიტო რეიტინგები


### ტურისტული ვიზიტები, 2021 წელი %-ად 2019 წელთან შედარებით



იან თებ მარ აპრ მაი ივნ ივლ აგვ სექ ოქტ

წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

### ბიუჯეტის დეფიციტი, %-ად მშპ-თან



წყარო: ფინანსთა სამინისტრო, 2022 წლის ბიუჯეტის მეორე ვერსია



## ფულადი ბაზარი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები: საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2021 წლის 9 ნოემბერს 1-წლიანი 30 მლნ ლარის (9.5 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის სახაზინო ვალდებულებები გაყიდა. ამასთან, მოთხოვნა დაახ. 3.0-ჯერ მაღალი იყო და საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა აუქციონთან შედარებით 0.204პპ-ით შემცირდა და 9.044% შეადგინა.

უახლოესი აუქციონი დაგეგმილია 2021 წლის 22 ნოემბერს, სადაც 5-წლიანი 85 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების ბენჩმარკ ობლიგაციები გაიყიდება.


სახაზინო ფასიანი ქაღალდები,  
2021 წელი

| ვალიანობა  | გამოშვება წლის დასაწყისიდან მლნ ლარი | დარჩენილი გამოშვება მლნ ლარი | დარჩენილი ვალდებულება* |
|------------|--------------------------------------|------------------------------|------------------------|
| 6-თვე      | 145                                  | 20                           | 75                     |
| 1-წელი     | 165                                  | 30                           | 255                    |
| 2-წელი     | 240                                  | 50                           | 980                    |
| 5-წელი     | 415                                  | 170                          | 2,520                  |
| 10-წელი    | 94                                   | 0                            | 1,306                  |
| <b>სულ</b> | <b>1,059</b>                         | <b>270</b>                   | <b>5,136</b>           |

წყარო: ფინანსთა სამინისტრო


შენიშვნა: \* 2021 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით

სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: სეზ

განხორციელებული ემისია და მოთხოვნა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ბოლო აუქციონებზე, მლნ ლარი




წყარო: სეზ

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი,  
წლიური ინფლაცია და ლარის გაცვლითი კურსი



წყარო: სეზ, საქსტატი

ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სეზ

შენიშვნა: ინდექსის ზრდა/კლება ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას/გაუფასურებას




## ობლიგაციები

კორპორატიული ევროობლიგაციები: საქართველოს ბანკის ჯგუფის ევროობლიგაცია (GEBGG) დაიხურა 2.22%-იანი შემოსავლიანობით, ფასით 106.25 (+0.01% წინა კვირასთან შედარებით). საქართველოს კაპიტალის ევროობლიგაციებით (GEOCAP) ვაჭრობა დაიხურა ფასით 103.03 (-0.17% წინა კვირასთან შედარებით), 4.72%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს რკინიგზის ევროობლიგაცია (GRAIL) ივაჭრებოდა 101.35 ფასად (-0.05% წინა კვირასთან შედარებით), 3.77%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს სუვერენული ევროობლიგაცია (GEORG) დაიხურა ფასით 100.24 (-0.36% წინა კვირასთან შედარებით), 2.69%-იანი შემოსავლიანობით.

ევროობლიგაციები (შემოსავლიანობა)



წყარო: Bloomberg

ქართული ობლიგაციების ძირითადი მონაცემები


| ევროობლიგაციები         |        |                      |         |                 |                                    |              |                     |               |
|-------------------------|--------|----------------------|---------|-----------------|------------------------------------|--------------|---------------------|---------------|
| გამომშვები              | ვალუტა | მოცულობა, მლნ აშშ \$ | კუპონი  | დაფარვის თარიღი | რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope) | საშუალო ფასი | საშუალო პროცენტი, % | Z-spread, bps |
| GEORG 04/26             | USD    | 500                  | 2.750%  | Apr-26          | BB/BB/Ba2                          | 100.24       | 2.69                | 167.29        |
| GRAIL 06/28             | USD    | 500                  | 4.000%  | Jun-28          | BB-/B+/-                           | 101.35       | 3.77                | 258.79        |
| GEBGG 07/23             | USD    | 350                  | 6.000%  | Jul-23          | BB-/B/Ba2                          | 106.25       | 2.22                | 177.90        |
| GEBGG 11 1/8 PERP       | USD    | 100                  | 11.125% | n/a             | B-/B-                              | 111.01       | 9.25                | 577.87        |
| GEOCAP 03/24            | USD    | 300                  | 6.125%  | Mar-24          | -/B/B2                             | 103.03       | 4.72                | 408.79        |
| SILKNET 04/24           | USD    | 200                  | 11.000% | Apr-24          | B-/B1                              | 107.82       | 7.35                | 441.61        |
| TBC 06/24               | USD    | 300                  | 5.750%  | Jun-24          | BB-/B/Ba2                          | 106.49       | 3.12                | 241.25        |
| TBC PERP                | USD    | 125                  | 10.775% | n/a             | B-/B-                              | 110.13       | 9.51                | 607.14        |
| GGU 07/25               | USD    | 250                  | 7.750%  | Jul-25          | B+/B/-                             | 106.72       | 5.71                | 338.56        |
| ადგილობრივი ობლიგაციები |        |                      |         |                 |                                    |              |                     |               |
| KTW 12/22               | USD    | 10                   | 9.00%   | Dec-22          | -/-/-                              | n/a          | n/a                 | n/a           |
| GWP 12/21               | GEL    | 30                   | 12.50%  | Dec-21          | BB-/B/-                            | n/a          | n/a                 | n/a           |
| M2CA 12/21              | USD    | 30                   | 7.50%   | Dec-21          | -/-/-                              | 100.00       | 7.50                | n/a           |
| M2RE 10/22              | USD    | 35                   | 7.50%   | Oct-22          | -/-/-                              | 100.43       | 7.20                | n/a           |
| GLC 08/22               | USD    | 10                   | 7.50%   | Aug-22          | -/-/-                              | n/a          | n/a                 | n/a           |
| GLC 07/23               | USD    | 12                   | 5.75%   | Jul-23          | -/-/-                              | n/a          | n/a                 | n/a           |
| GLC 07/23               | EUR    | 3                    | 4.75%   | Jul-23          | -/-/-                              | n/a          | n/a                 | n/a           |
| SILKNET 04/24           | GEL    | 34                   | 12.50%  | Apr-24          | B+/-/B1/-                          | n/a          | n/a                 | n/a           |
| Geo. Beer Company       | GEL    | 25                   | 13.00%  | Dec-23          | -/-/BB-                            | n/a          | n/a                 | n/a           |
| Lisi Lake Development   | USD    | 12                   | 8.00%   | Dec-21          | -/-/B+                             | n/a          | n/a                 | n/a           |
| Tegeta 04/22            | GEL    | 30                   | 10.75%  | Apr-22          | -/-/BB-                            | n/a          | n/a                 | n/a           |
| EVEX 11/24              | GEL    | 50                   | 12.10%  | Nov-24          | -/-/BB                             | n/a          | n/a                 | n/a           |

წყარო: Bloomberg



## აქციები


### საქართველოს ბანკის ჯგუფი (BGEO LN)



წყარო: Bloomberg

საქართველოს ბანკის ჯგუფის (BGEO LN) აქციები დაიხურა 16.00 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +2.43% წინა კვირასთან შედარებით და +1.52% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 117 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 15.20 - 16.96 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 23 ათასი აქცია შეადგინა.


### თიბისი ბანკის ჯგუფი (TBCG LN)



წყარო: Bloomberg

თიბისი ბანკის ჯგუფის (TBCG LN) აქციები დაიხურა 16.00 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +0.76% წინა კვირასთან შედარებით და +8.84% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 148 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 15.58 - 16.04 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 89 ათასი აქცია შეადგინა.

### საქართველოს კაპიტალი (CGEO LN)



წყარო: Bloomberg

Georgia Capital-ის (CGEO LN) აქციები დაიხურა 6.26 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +3.99% წინა კვირასთან შედარებით და -1.11% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 205 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 5.97 - 6.29 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 55 ათასი აქცია შეადგინა.



## აქციები

### აღმოსავლეთ ევროპის ბანკები

|                    | ტიკერი | ვალუტა | აქციის ფასი | კაპიტალიზ. მლნ | ნ თვე, ცვლ. | წ/წ ცვლ. | წლის დას. ცვლ. | P/E          |              | P/B          |              |
|--------------------|--------|--------|-------------|----------------|-------------|----------|----------------|--------------|--------------|--------------|--------------|
|                    |        |        |             |                |             |          |                | 2021F        | 2022F        | 2021F        | 2022F        |
| Bank of Georgia    | BGEO   | GBP    | 16.00       | 787            | 43.4%       | 51.8%    | 31.1%          | 4.70x        | 5.08x        | 1.06x        | 0.98x        |
| TBC                | TBC    | GBP    | 16.00       | 882            | 47.9%       | 41.6%    | 28.0%          | 5.53x        | 5.31x        | 1.05x        | 0.92x        |
| Halyk Bank         | HSBK   | US\$   | 19.01       | 102,565        | 16.8%       | 44.9%    | 30.9%          | 6.14x        | 6.09x        | 1.28x        | 1.16x        |
| Sberbank           | SBER   | USD    | 18.10       | 5,319          | 24.0%       | 65.3%    | 55.4%          | 5.22x        | 4.93x        | 1.30x        | 1.19x        |
| VTB Bank           | VTBR   | US\$   | 1.36        | 8,787          | 5.6%        | 49.8%    | 42.1%          | 2.40x        | 2.75x        | 0.42x        | 0.38x        |
| Akbank             | AKBNK  | TRY    | 6.34        | 32,968         | 26.0%       | 1.6%     | -8.5%          | 3.52x        | 2.83x        | 0.45x        | 0.40x        |
| Garanti            | GARAN  | TRY    | 10.58       | 44,436         | 37.8%       | 22.6%    | 2.0%           | 3.68x        | 3.23x        | 0.59x        | 0.51x        |
| Isbank             | ISCTR  | TRY    | 6.36        | 28,620         | 26.7%       | -7.0%    | -9.1%          | 2.97x        | 2.34x        | 0.37x        | 0.33x        |
| PKO                | PKO    | PLN    | 46.35       | 57,938         | 37.3%       | 86.4%    | 61.4%          | 12.33x       | 11.19x       | 1.35x        | 1.24x        |
| PEKAO              | PEO    | PLN    | 126.20      | 33,124         | 50.0%       | 133.8%   | 106.5%         | 15.88x       | 12.85x       | 1.28x        | 1.20x        |
| Millennium         | MIL    | PLN    | 8.64        | 10,475         | 84.1%       | 199.8%   | 164.1%         | 12.09x       | 13.19x       | 1.35x        | 1.29x        |
| Mbank              | MBK    | PLN    | 562.00      | 23,811         | 95.8%       | 232.2%   | 213.6%         | 24.87x       | 17.26x       | 1.44x        | 1.35x        |
| BRD                | BRD    | RON    | 18.92       | 13,185         | 19.0%       | 50.2%    | 27.3%          | 11.82x       | 11.14x       | 1.42x        | 1.38x        |
| Banca Transilvania | TLV    | RON    | 2.65        | 16,725         | 11.7%       | 43.6%    | 29.6%          | 9.61x        | 9.18x        | 1.60x        | 1.48x        |
| OTP                | OTPD   | USD    | 22.00       | 12,320         | -1.8%       | -3.5%    | -3.5%          | 8.13x        | 7.41x        | 0.66x        | 0.58x        |
| Komercni           | KOMB   | CZK    | 923.00      | 175,416        | 36.3%       | 66.6%    | 40.5%          | 15.45x       | 13.37x       | 1.43x        | 1.44x        |
| <b>საშუალო</b>     |        |        |             |                |             |          |                | <b>9.02x</b> | <b>8.01x</b> | <b>1.07x</b> | <b>0.99x</b> |
| <b>მედიანა</b>     |        |        |             |                |             |          |                | <b>7.13x</b> | <b>6.75x</b> | <b>1.28x</b> | <b>1.17x</b> |

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ

### ინვესტიციების მართვის შესადარი კომპანიები

|                       | ტიკერი | ვალუტა | აქციის ფასი | კაპიტალიზ. მლნ | ნ თვე, ცვლ. | წ/წ ცვლ. | წლის დას. ცვლ. | P/E          |               | P/B          |              |
|-----------------------|--------|--------|-------------|----------------|-------------|----------|----------------|--------------|---------------|--------------|--------------|
|                       |        |        |             |                |             |          |                | 2021F        | 2022F         | 2021F        | 2022F        |
| Georgia Capital       | CGEO   | GBP    | 6.26        | 297            | -1.6%       | 31.2%    | 15.9%          | na           | na            | na           | na           |
| Tinc Comm             | TINC   | EUR    | 13.70       | 498            | 12.5%       | 5.4%     | 5.8%           | na           | na            | na           | na           |
| Sabancı Holding       | SAHOL  | TRY    | 12.79       | 26,097         | 53.0%       | 22.3%    | 11.6%          | 4.29x        | 3.56x         | 0.57x        | 0.47x        |
| Deutsche Beteiligungs | DBAN   | EUR    | 40.10       | 754            | 18.3%       | 33.1%    | 28.7%          | 4.14x        | 10.79x        | 1.08x        | 1.01x        |
| Eurazeo               | RF     | EUR    | 78.85       | 6,247          | 12.6%       | 59.0%    | 42.1%          | 9.23x        | 11.70x        | 0.94x        | 0.93x        |
| Carlyle Group         | CG     | USD    | 59.78       | 21,190         | 43.7%       | 117.9%   | 90.1%          | 14.54x       | 14.69x        | 5.45x        | 4.62x        |
| <b>საშუალო</b>        |        |        |             |                |             |          |                | <b>8.05x</b> | <b>10.18x</b> | <b>2.01x</b> | <b>1.76x</b> |
| <b>მედიანა</b>        |        |        |             |                |             |          |                | <b>6.76x</b> | <b>11.24x</b> | <b>1.01x</b> | <b>0.97x</b> |

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ





# მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტი ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოყენებისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტი ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ციკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტი ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთი ქმედებებში, როგაც ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამომავალის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამოწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტთან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარულის ან მომავლის მიმართ, გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტი ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტი ენდ თაგარტი არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ გალტი ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტი ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აქვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამოწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტი ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამომავალს ან ნაგულისხმევის, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტი ენდ თაგარტი და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნესი-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტირება უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დისტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დისტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

**გალტი ენდ თაგარტი**  
მისამართი: პუშკინის ქუჩა 3ა, თბილისი, 0105, საქართველო  
ტელ: + (995) 32 2401 111  
ელ. ფოსტა: researcht@gt.ge